პროლეტარეებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 260 (19402) ◆ კვირა, 10 ნოემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი. პროექტი მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმმა და მისი გადაწყვეტილების შესაბამისად გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ძირითად მიმართულებათა პროექტზე მსჯელობის შედეგები გათვალისწინებული იქნება სკკპ XXVII ყრილობაზე საბოლოო განხილვისა და დამტკიცების დროს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

პროექტი

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

მტკიცედ ვებრძოლოთ ლოთობასა და ალკოჰოლიზმს, ...ერეთვე ადამიანთა ჯანმრთელობისათვის შავნე ჩვეულებ...

განვაგრძოთ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა, მათ შორის შრომლებისა და ბავშვების სანატორიუმების, საწარმოთა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების ქსელის განვითარება.

ხელი შევუწყოთ **ფიზკულტურისა და სპორტის** მასობრიობის გადიდებას. გავაფართოოთ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა და გავაუმჯობესოთ მისი ორგანიზაცია საცხოვრებელ, შრომიერი საქმიანობისა და სწავლის ადგილას. განვამტკიცოთ სპორტული ორგანიზაციების მატერიალური ბაზა.

სრულყოთ მოსახლეობის **განათლების სისტემა**, გავაუმჯობესოთ სპეციალისტების სწავლებისა და მომზადების, მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის მომზადების ხარისხი.

უზრუნველვყოთ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება. შეექმნათ მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და საშუალო სკოლის ყოველი კურსდამთავრებულის მიერ ერთ-ერთი მასობრივი პროფესიის ათვისებისათვის საჭირო პირობები. სრულყოთ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობა.

განვავითაროთ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა, გავაუმჯობესოთ კვალიფიციურ მუშათა უშუალოდ წარმოებაში მომზადება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად.

დავნერგოთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადებისას სწავლების ეფექტიანი მეთოდები და მიზნობრივი ფორმები. განვაფორიცოთ ფართო პროფილის სპეციალისტთა უმაღლეს სკოლაში მომზადების კურსი.

მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ სახალხო მეურნეობაში სპეციალისტების და, განსაკუთრებით, ინჟინერ-ტექნიკური კადრების გამოყენება. ყველა დარგში განვავითაროთ მუშებისა და სპეციალისტების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, ამასთან გავითვალისწინოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნები.

განვამტკიცოთ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური ბაზა. გავაუმჯობესოთ კაბინეტების, სახელოსნოებისა და ლაბორატორიების აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობით, ხელსაწყოებით, ინსტრუმენტებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით. უფრო აქტიურად დავნერგოთ ინფორმატიკა და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკა სასწავლო პროცესში. ხუთწლეულში ავამენოთ 7 მილიონი მოსწავლისათვის გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სულ ცოტა 810 ათასი მოსწავლისათვის გათვალისწინებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

გავზარდოთ სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ, სამართლებრივ, მხატვრულ და ესთეტიკურ აღზრდაში, სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებაში, მათი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

განვავითაროთ და განვამტკიცოთ კულტურისა და ხელოვნების მატერიალური ბაზა. გავაფართოოთ კულტურის რაიონული სახლებისა და დაწესებულებების ქსელი, განსაკუთრებით ქალაქების ახალ საცხოვრებელ რაიონებსა და სოფლის დასახლებულ პუნქტებში. სრულყოთ მოსახლეობის კინომომსახურება, გავზარდოთ კინოფილმების, მეტადრე საბავშვო და საყმაწვილო ფილმების, აგრეთვე სპექტაკლების, საკონცერტო პროგრამების, სამხატვრო გამოფენების იდეური და მხატვრული დონე. უფრო ფართოდ ჩავაბათ მოსახლეობა, და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობა, თვითმოქმედ მხატვრულ შემოქმედებაში.

უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება პერიოდული პრესის გამოცემებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, მხატვრულ, სასწავლო და საბავშვო ლიტერატურაზე. განვახორციელოთ საგამომცემლო საქმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი. გავაუმჯობესოთ საარქივო დაწესებულებათა მუშაობა.

XI. გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

გავზარდოთ ბუნების დაცვის ღონისძიებათა ეფექტიანობა. უფრო ფართოდ დავნერგოთ პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები. განვავითაროთ კომბინირებული წარმოებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებრივი რესურსების, ნედლეულისა და მასალების სრულ და კომპლექსურ გამოყენებას, გამორიცხავენ ან არსებითად ამცირებენ გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

თანამიმდევრულად გავაუმჯობესოთ ქვეყნის წყლის რესურსების დაცვა. დავამთავროთ ბალტიის, კასპიის, შავი და აზოვის ზღვების აუზების დაცვის ძირითად ღონისძიებათა შესრულება. განვაგრძოთ არქტიკის აუზის, შუა აზიისა და ყაზახეთის წყალსატევების დაცვის, აგრეთვე მცირე მდინარეებისა და წყალსაცავების მდგომარეობის **გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის** განხორციელება. გავზარდოთ საწმენდი ნაგებობებისა და დანადგარების მუშაობის ეფექტიანობა. გავაფართოოთ რწყვისა და სასახლო მეურნეობის სხვა საჭიროებებისათვის გაწმენდილი ჩამდინარე და მაღაროს წყლების გამოყენება.

გავაძლიეროთ ატმოსფერული ჰაერის დაცვა. ამ მიზნით სრულყოთ ტექნოლოგიური პროცესები, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებები, გავაუმჯობესოთ ნედლეულისა და სათბობის ხარისხი, დავნერგოთ სამრეწველო და სხვა ნარჩენების საწმენდი მაღალეფექტიანი დანადგარები.

უზრუნველვყოთ მიწების რაციონალური გამოყენება, დავიცვათ ისინი ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან, ღვარცოფებისაგან, მეწყერისაგან, შეტბორვის, დაჭაობების, გამოშრობისა და გაუუქყიანებისაგან. გავაძლიეროთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის გაუმჯობესების, მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნის სამუშაოები. მოვახდინოთ დაახლოებით 660 ათასი ჰექტარი მიწის რეკულტივაცია. ნიადაგ გავაფართოოთ მავნებლებისა და დაავადებებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის დაცვის ადამიანისათვის უსაფრთხო მეთოდების გამოყენება.

გავაუმჯობესოთ წიაღის დაცვა და მინერალური რესურსების კომპლექსური გამოყენება. შევამციროთ სასარგებლო წიაღისეულის დანაკარგები მათი მოპოვების, გამდიდრებისა და გადამუშავების დროს. უზრუნველვყოთ სსრ კავშირის ეკონომიკური ზონისა და სსრ კავშირის კონტინენტური შელფის გარემოს დაცვა.

განვაგრძოთ ქალაქებისა და დაბების მწვანე ზონების შექმნა და გავაუმჯობესოთ მათი კეთილმოწყობა, გავაფართოოთ ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ნაკრძალი ტყეებისა და სხვა დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ქსელი. გავაძლიეროთ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვის, გამრავლებისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობა.

გავაძლიეროთ გარემოს მდგომარეობისა და გაჭუჭყიანების წყაროებისადმი სახელმწიფო კონტროლის ქმედითობა, გავაუმჯობესოთ ეფექტიანი ავტომატური ხელსაწყოებითა და მოწყობილობით ამ სამსახურის ტექნიკური აღჭურვა. გავაფართოოთ ამ მუშაობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მონაწილეობის ფორმები და მეთოდები. ჩავუნერგოთ საბჭოთა ადამიანებს ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და გამრავლებისათვის, მათი ყაირათიანი გამოყენებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. სრულყოთ ქვეყანაში ბუნების დაცვის საქმის მართვა.

XII. საწარმოო ძალების განლაგება, მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის განვითარება

სრულყოთ საზოგადოებრივი წარმოების ტერიტორიული სტრუქტურა, უზრუნველვყოთ ყოველ მოკავშირე რესპუბლიკასა და ყოველ ეკონომიკურ რაიონში ეკონომიკური და სოციალური განვითარების რაციონალური შეზამება, გავაუმჯობესოთ მათი ურთიერთმოქმედება ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

განვახორციელოთ საწარმოო ძალების განლაგებაში შემდგომი პროგრესული ძვრები, რომლებიც უფრო სრულად გაითვალისწინებენ ტერიტორიულ თავისებურებებს ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნებრივ პირობებში, იმ აუცილებლობას, რომ ენერგოტევადი წარმოებები მიუახლოვდეს ცომბირისა და ჩრდილოეთ ყაზახეთის სათბობ-ენერგეტიკულ ბაზებს. შუა აზიის, სამხრეთ ყაზახეთისა და ამიერკავკასიის რაიონებში უფრო სრულად გამოვიყენოთ შრომითი და ბუნებრივი რესურსები. ქვეყნის ევროპული რაიონების ეკონომიკა განვავითაროთ უპირატესად მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის გზით, ამასთან შევამციროთ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა რიცხვი. გავაფართოოთ და სრულყოთ ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებისა და სამრეწველო კვანძების ჩამოყალიბების პრაქტიკა. დარგობრივი და ტერიტორიული ჭრილით უზრუნველვყოთ სამუშაო ადგილების რაოდენობისა და არსებული შრომითი რესურსების შესაბამისობა.

განვაგრძოთ საწარმოო პოტენციალის დაჩქარებული გადიდება და ბუნებრივი რესურსების ათვისება ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. კომპლექსურად განვავითაროთ მათი მეურნეობა, მივაღწიოთ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების უპირატეს ზრდას. სამეურნეო ბრუნვაში მოვაქციოთ ჩრდილოეთის ყველაზე ეფექტიანი ბუნებრივი რესურსები.

შევზღუდოთ დიდ ქალაქებში ახალი სამრეწველო საწარმოების შექმნა, მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული ობიექტების გარდა. უფრო სრულად გამოვიყენოთ პატარა და საშუალო ქალაქებისა და მუშათა დაბების სამეურნეო განვითარების შესაძლებლობანი, განვლალგოთ აქ მცირე სპეციალიზებული საწარმოები, მოქმედი ქარხნებისა და ფაბრიკების ფილიალები და ცალკეული საამქროები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მომსახურებასთან, მისი პროდუქციის გადამუშავებასთან და ადგილობრივი ნედლეულისაგან ნაწარმის დამზადებასთან დაკავშირებული საწარმოები.

განვსაზღვროთ მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემდეგი ძირითადი მიმართულებანი:

რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 20-23 პროცენტით. დაჩქარებული ტემპით განვავითაროთ მანქანათმშენებლობა, გაზის, ქიმიური და მიკრობიოლოგიური მრეწველობა. 1990 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება გავადიდოთ 1.120-1.160 მილიარდ კილოვატსაათამდე, ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოპოვება — 580-585 მილიონ ტონამდე, გაზისა — 640-650 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ქვანახშირისა — 440-445 მილიონ ტონამდე.

გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 13-15 პროცენტით. 1990 წელს მარცვლეულის წარმოება გავზარდოთ 140-142 მილიონ ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 31-32 მილიონ ტონამდე, კარტოფილისა — 45-47 მილიონ ტონამდე, ბოსტნეულისა — 14,5-15 მილიონ ტონამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 10-10,2 მილიონ ტონამდე, რძისა — 54-55 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 45-46 მილიარდ ცალამდე. ხუთწლეულში საეკსპლოატაციოდ გადავცეთ 1.410 ათასი ჰექტარი სარწყავი და დავაშროთ 1.640 ათასი ჰექტარი დაჭაობებული და ჭარბტენიანი მიწები. მოვაწყოთ კულტურტექნიკური სამუშაოები დაახლოებით 6 მილიონ ჰექტარ მიწებზე, რომლებიც არ მოითხოვენ დაშრობას.

განვამტკიცოთ რუსეთის სფსრ ევროპული ნაწილის ენერგეტიკული ბაზა. დავამთავროთ კალინინის ატომური ელექტროსადგურისა და სმოლენსკის ატომური ელექტროსადგურის მეორე რიგის მშენებლობა, ავამოქმედოთ ბალაკოვოს, თათრეთის, როსტოვის ატომური ელექტროსადგურების, ბორკისა და ვორონეჟის თბომომარაგების ატომური სადგურების სიმძლავრეები და დავიწყოთ კოსტრომის ატომური ელექტროსადგურისა და ვოლგოგრადის ატომური თბოელექტროცენტრალის მშენებლობა. დავაჩქაროთ ირგანაის ჰიდროელექტროსადგურის აგება, ავამოქმედოთ ზაგორსკის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური, გავშალოთ ლენინგრადის ასეთივე სადგურის მშენებლობა და დავიწყოთ ცენტრალური ჰიდრომაკუმულირებელი სადგურის აგება.

უზრუნველვყოთ რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარება და ეფექტიანობის გადიდება. ფართო მასშტაბით განვაგრძოთ ბინების, გზების, მომსახურების სფეროს ობიექტების მშენებლობა, გავაუმჯობესოთ სოფლის მოსახლეობის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

ქალაქებში მოსკოვსა და ლენინგრადში, მოსკოვისა და ლენინგადის ოლქებში უკეთ გამოვიყენოთ შექმნილი სამეცნიერო და საწარმოო პოტენციალი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გადიდებისათვის. გავადიდოთ წარმოება მხოლოდ მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის, თანამედროვე ტექნოლოგიების, მოქნილი ავტომატიზებული სისტემებისა და რობოტტექნიკის ფართო გამოყენების, დარგთშორისი წარმოებების სპეციალიზაციის გაღრმავებისა და განვითარების, შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, ამასთან შევამციროთ სამუშაო ადგილების რაოდენობა. დავაჩქაროთ ქალაქებში მოსკოვსა და ლენინგრადში იმ წარმოებებისა და საწარმოების ლიკვიდაცია, რომელთა შემდგომი განვითარება აქ ეკონომიკურად მიზანშეუწონელია. რაციონალურად, გარემოს დაცვისადმი მოთხოვნების გათვალისწინებით, გამოვიყენოთ ქალაქ მოსკოვისა და მისი ტყე-პარკის სარტყლის ტერიტორია. უზრუნველვყოთ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის

(გაგრძელება მე-2 გვ.)

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 259.

ბატონ რაულ ალფონსინს,
არგენტინის პრეზიდენტს
ბატონ მიგელ დე ლა მადრიდს,
მექსიკის პრეზიდენტს
ბატონ ულოფ პალმეს,
შვეციის პრემიერ-მინისტრს
ბატონ რაჯივ განდის,
ინდოეთის პრემიერ-მინისტრს
ბატონ ჯულიუს ნიერერეს
ბატონ ანდრეას პაპანდრეუს,
საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს

პატივცემულო ბატონებო,

თქვენი ერთობლივი წერილი საბჭოთა ხელმძღვანელობამ უყურადღებით განიხილა. იგი ადასტურებს, რომ ჩვენ საერთო მიზნები გვაქვს, რომ თქვენი წინადადებანი, რომლებიც გამოცემული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეკვეცას, კოსმოსის მილიტარიზაციის თვალდან აცილებას ეხება, ეხმიანება ჩვენს მიდგომას.

თქვენ სამართლიანად უკავშირებთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ უმაღლესი დონის ყველის შეხვედრას საერთაშორისო ურთიერთობაში პოზიტიური ცვლილებების იმედს. ჩვენი მხრივ ატლანტიკის ორივ მხარეებში ზიანიერაზე კონკრეტულ, ხელშესახებ მოქმედებათა მიღწევისათვის, რომლებიც ხელს შეიწყობს მსოფლიოში უშიშროებისა და ნდობის განმტკიცებას, შესაძლებლობას მოგვცემს შევაჩერთოთ იარაღის დგროვებისა და სრულყოფის დაჩქარებული პროცესი. სწორედ ამას ელიან ხალხები.

საბჭოთა კავშირმა, რომელსაც შეგნებული აქვს პასუხისმგებლობა მსოფლიოს ბედისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების პრაქტიკულად ყველა საკითხზე ახალ ინიციატივათა კომპლექსი წამოაყენა. ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ ერთიორად შევამციროთ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული შეიარაღება, რომელიც აღწევს ერთმანეთის ტერიტორიას, თუ აიკრძალა დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნა. ეს კოსმოსში გამალებული შეიარაღების თვალდან აცილებისა და დედამიწაზე ბირთვული შეიარაღების ნამდვილად რადიკალური შემცირების რეალური პრაქტიკული ფორმულაა. სსრ კავშირმა ცალმხრივი წესითაც, კერძოდ უკანასკნელ ხანს, განაცხადა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც კარგად არის ცნობილი.

მინდა შევეხო საკითხს, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით გამოიყოფთ წერილში — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბირთვული აფეთქებების 12 თვის მორატორიუმის გამოცხადების შესახებ.

ვეზიარებთ ამ ღონისძიების მნიშვნელობის თქვენეულ შეფასებას. თქვენ სრულიად საფუძვლიანად უკავშირებთ გამოცდების აკრძალვას იმ იმედს, რომ საამდო დაბრკოლება აღიმართება გამალებული ბირთვული შეიარაღების გზაზე, მოხდება შემობრუნება ბირთვული იარაღის პრაქტიკული ლიკვიდაციისაკენ.

მართლაც, ბირთვული გამოცდების შეწყვეტა საშუალებას მოგვცემდა მკვეთრად შეგვეფერხებინა, მრავალი თვალსაზრისით კი პრაქტიკულად შეუძლებელი გაგვეწყვა ბირთვული იარაღის თვისებრივი სრულყოფა, მისი ახალი ტიპების შექმნა, მისი ისეთ მოძველებულად მოქმედების გადიდება. ასეთ პირობებში გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას საგრძნობლად გამოეცლებოდა საფუძველი.

სწორედ ამიტომ ანიჭებს საბჭოთა კავშირი ესოდენ დიდ მნიშვნელობას ბირთვული იარაღის გამოცდის სრულ და საყოველთაო აკრძალვას, იბრძვის ამისათვის მტკიცედ და თანამიმდევრულად.

სსრ კავშირმა, რომელსაც სურს ჩახიდოდ ვამოყვანოს ამ პრობლემის გადაჭრა, მიმდინარე წლის 6 აგვისტოდან ცალმხრივი წესით შეწყვიტა წლის დამლევამდე ყოველგვარი ბირთვული აფეთქება. ამასთან ჩვენ განვაცხადეთ, რომ მორატორიუმი ცალკეაც იმოქმედებს, თუ შეერთებული შტატები, თავის მხრივ, შეიკავებდა მას, ანუ ასევე არ მოაწყობს ბირთვულ აფეთქებებს. ასე რომ, მთლიანად ამერიკის შეერთებულ შტატებზეა დამოკიდებული, გგრძელდება თუ არა აღნიშნული თარიღის შემდეგ საბჭოთა მორატორიუმი.

ახლა არის რეალური შესაძლებლობა გადავდგათ, ბოლოს და ბოლოს, გადამწყვეტი, ისტორიული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ნაბიჯი, რათა გამოცდები სამუდამოდ შეწყდეს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ვიმეორებ, ჩვენ გავაგრძელებდით 1986 წლის 1 იანვრის შემდეგ ჩვენი მორატორიუმის მოქმედებას, თუ მას შეუერთდება ამერიკის შეერთებული შტატები. უფრო მეტიც, უკვე ახლა, დღეს, მზად ვართ ბირთვული იარაღის ყველა გამოცდის უვადო შეთანხმებული აკრძალვისათვის.

თუ გამოვიჩენთ პოლიტიკურ ნებას, სავსებით შესაძლებელი იქნება, ჩვენი რწმენით, კონტროლის საკითხის გადაწყვეტაც. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ტექნიკური საშუალების ახლანდელი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს ადვილად განვსაზღვროთ, ეწყობა თუ არა ბირთვული აფეთქებანი. სულ ბოლო ხნის ფაქტები დასტურებს ამას.

ბირთვული იარაღის გამოცდის მთლიანად და ყველგან აკრძალვის შესახებ მორიგების მიღწევის დამატებით შეიძლება გამოთანხმოს შემოწმების სხვა ურთიერთმისაღები მეთოდებიც, მათ შორის იმ შესაძლებლობათა გამოყენებით, რომლებიც ნახსენებია თქვენს წერილში.

როგორც ბირთვული იარაღის გამოცდის ყოველსმომცველი აკრძალვის, ისე მისი მოწყობის დროებითი მორატორიუმის საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა ერთმანეთისაკენ გადავდგათ ნაბიჯები, გავითვალისწინოთ ერთმანეთის ინტერესები. საქმეში ცალმხრივი უპირატესობის მიღწევის ყოველგვარი ეარაუდი უსაფუძვლოა.

ჩვენ ყველა გეწამს კეთილი მაგალითის ძალა, საღი აზრის გამარჯვება, რომელმაც ბოლოს და ბოლოს უნდა იმძლავროს, რიცა საქმე ეხება თავად ცივილიზაციის არსებობასთან დაკავშირებულ საკითხს.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა იმედი, რომ შედეგები მოჰყვება ამ მიმართულებით შეცადინეობას, რომელსაც სტიმულს აძლევს დელის დეკლარაციის მოხაწილე ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კონტინენტის წარმომადგენელ სახელმწიფოთა ავტორიტეტიანი ლიდერების ხმა. ამ კეთილშობილურ საქმეში მუდამ შეგიძლიათ იქონიოთ საბჭოთა კავშირის იმედი.

მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

(გაგრძელება)

ოლქის, ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის ურთიერთდაკავშირებული კომპლექსური განვითარება. განვაგრძოთ წყალდიდობისაგან ქალაქ ლენინგრადის დაცვის ნაგებობათა მშენებლობა.

უზრუნველვყოთ ტიმან-პეჩორის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის შემდგომი ჩამოყალიბება, უფრო კომპლექსურად გამოვიყენოთ კოლის ნახევარკუნძულის სასარგებლო წიაღისეული.

ყურსკის მაგნიტური ანომალიის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსში შევქმნათ რკინის მადნის მოპოვებისა და გამდიდრების, ელექტროფოლადის, ნაგლინის წარმოების ახალი სიმძლავრეები, უფრო სრულად გამოვიყენოთ გადახსნილი ქანები და სამთო-მამდიდრებელი საწარმოების ნარჩენები. ავაშენოთ ცივად ნაგლინი ლენტის საწარმოო საამქროები ორიოლის ფოლადსაგლინავ ქარხანაში. რაციონალურად შეეახამოთ ცენტრალურ-შავმიწანიდადგანი ეკონომიკური რაიონის მძიმე მრეწველობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება.

ავაშენოთ კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვებისათვის ტექნოლოგიური მოწყობილობის საწარმოო სამრეწველო კომპლექსის ძირითადი ობიექტები მარეთის ასსრ ქალაქ ვოლუსკში, აგრეთვე ანტიკოროზიული ნავთოზის სორტამენტის მილების სამშენებლო ვოლუსკის მილების ქარხანაში. ავამოქმედოთ გაზის კონდენსატის მოპოვებისა და გადამუშავების და გოგირდის წარმოების სიმძლავრეები სამრეწველო კვანძში, რომელიც ყალიბდება ასტრახანის გაზკონდენსატის საბადოს ბაზაზე. უფრო ეფექტიანად ავითვისოთ ვოლგა-ატუბის ჭალის მიწები.

მოვახდინოთ მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის ფოლადსადნობი წარმოების პირველი რიგისა და ურალის მცირე სიმძლავრის მეტალურგიული ქარხნების რეკონსტრუქცია. უზრუნველვყოთ ციმბირის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება. გავაძლიეროთ ამ რეგიონში სათბობ-ენერგეტიკული ბაზის სიმძლავრეთა გადიდების სამუშაოები. განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა უზრუნველვყოთ მინერალური ნედლეულისა და ტყის რესურსების კომპლექსური გადამუშავება, გავზარდოთ რეგიონის წილი მრეწველობის ენერგოტევადი დარგების საერთო-საკავშირო წარმოებაში და პროპორციულად განვავითაროთ დამმუშავებელი დარგები, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობა. განვამტკიცოთ ადგილობრივი სასურსათო ბაზა. უპირატესი ტემპით განვავითაროთ სამშენებლო ინდუსტრია, საშენ მასალათა მრეწველობა, ტრანსპორტი.

განვაგრძოთ დასავლეთ ციმბირის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ჩამოყალიბება. გავაძლიეროთ ნავთობისა და გაზის საბადოების დაზვერვა, მოწყობა და ათვისება. გავიყვანოთ მაგისტრალური გაზსადენები ქვეყნის ევროპულ ნაწილში და ციმბირის სამხრეთ რაიონებში. დავამთავროთ სურგუთის მე-2 სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის აგება, ავამოქმედოთ ნიჟნევარტოვსკისა და ურენგოის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურების სიმძლავრეები.

დავაჩქაროთ კუზბასის ქვანახშირის საწარმოთა მშენებლობა და რეკონსტრუქცია. გავშალოთ კატენკის ჰიდროელექტროსადგურის, დასავლეთ ციმბირისა და ალტაის მინერალური სასუქების ქარხნების მშენებლობა. განვახორციელოთ კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის რეკონსტრუქცია. განვაგრძოთ დასავლეთ ციმბირის სამხრეთ რაიონების მიწების მელიორაციის სამუშაოები, დავამთავროთ ალტაის მხარეში ალეის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

ავამოქმედოთ ენერგობლოკები ბერეზოვკის № 1 სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში და ქვანახშირის მოპოვების სიმძლავრეები ბერეზოვკის № 1 ჩრილში, დავიწყოთ № 2 „ბოროდინსკის“ ქვანახშირის ჩრილის მშენებლობა, გავშალოთ ბერეზოვკის № 2 სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა და განვახორციელოთ კანსკ-აჩინსკის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ჩამოყალიბების სხვა სამუშაოები.

უზრუნველვყოთ სიმძლავრეთა ამოქმედება საიანის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის შენებარე საწარმოებში, დავაჩქაროთ საიანის ალუმინის ქარხნის აგება. გავშალოთ ქვედა ანგარასპირეთის რესურსების ათვისება, განვაგრძოთ ბოგუჩანის ჰიდროელექტროსადგურის შენებლობა, დავიწყოთ შუა ენისეის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები და ავითვისოთ გორევსკის ტყვია-თუთიის საბადო. დავიწყოთ ზერინოეს მრავალლითონიანი საბადოს ათვისება, გავშალოთ ტუგნუის ქვანახშირის ჩრილის მშენებლობა. დავამთავროთ გუსინოზერსკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეორე რიგის მშენებლობა და ავამოქმედოთ ულან-უდეს მე-2 თბოელექტროცენტრალის სიმძლავრეები.

მუდმივი ექსპლოატაციისათვის გადავცეთ ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალი მთელ სიგრძეზე, დავიწყოთ ამ მაგისტრალის ზონის ფართო მასშტაბის სამეურნეო ათვისება. განვაგრძოთ სამხრეთ იაკუტიის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ჩამოყალიბება. ავაშენოთ ნერიუნგრის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეორე რიგი, დავიწყოთ ქვანახშირის შახტის „დენისოვსკაიას“ და სელიდარის აპატიტების საბადოს სამთო-მამდიდრებელი კომბინატის აგება, შევასრულოთ მეტალურგიული ბაზის შექმნის ხამუშაოები შორეულ აღმოსავლეთში, ამასთან გამოვიყენოთ ადგილობრივი კოქსვადი ქვანახშირი და რკინის მადანი. გავშალოთ ბერკაკიტ-ტომოტ-იაკუტსკის რკინიგზის მშენებლობა.

შორეულ აღმოსავლეთში გავზარდოთ ფერადი და იშვიათი ლითონების მოპოვება. უზრუნველვყოთ სათბობი მრეწველობის და ელექტროენერგეტიკის უპირატესი განვითარება. ავამოქმედოთ ობა-ამურის კომბინატის გაზსადენი, ვილუისკის მე-3 ჰიდროელექტროსადგურისა და ბურეის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები, შევუდგეთ უსტ-სერდნეკანის ჰიდროელექტროსადგურისა და იაკუტიის მე-2 სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობას. დავამთავროთ იაკუტიის ასს რესპუბლიკაში დეპუტატსკის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა. გავზარდოთ თევზჭერა, ზღვის პროდუქტების მოპოვება, მაღალხარისხოვანი სასურსათო თევზის პროდუქციის წარმოება. გავადიდოთ სოიის, ბრინჯისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოება.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში კადრების დამკვიდრებისათვის უზრუნველვყოთ ამ რაიონების მოსახლეობის ცხოვრების დონის უპირატესი ამაღლება.

ახალ ტექნიკურ საფუძველზე სრულვყოთ ჩრდილოეთის ეროვნებათა სამეურნეო საქმიანობის ტრადიციული სახეობანი.

უკრაინის სს რესპუბლიკაში 18-21 პროცენტით გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება. 1990 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება გავადიდოთ 320 მილიარდ კილოვატსაათამდე. დავამთავროთ ყირიმის, ჩერნობილის, ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურებისა და ოდესის ატომური თბოელექტროცენტრალის მშენებლობა. ავამოქმედოთ ხმელნიცკის, როვნოსა და სამხრეთ უკრაინის ატომური ელექტროსადგურებისა და დნესტრის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგურის სიმძლავრეები, გავშალოთ ხარკოვის ატომური თბოელექტროცენტრალისა და კანევის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგურის მშენებლობა.

განვაგრძოთ ქვანახშირის, მრეწველობისა და შავი მეტალურგიის საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. ავამოქმედოთ დაჟანგული რკინის მადნის გადამუშავების სიმძლავრეები კრივოი როგის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში და მანგანუმის მადნის მოპოვებისა და გადამუშავების სიმძლავრეები ტავრიის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში. გავზარდოთ პროდუქციის წარმოება ქიმიურ მრეწველობასა და მანქანათმშენებლობაში დაახლოებით 1,3-ჯერ. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის, მეტადრე სელის ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვება.

გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 13-15 პროცენტით. 1990 წელს მარცვლეულის წარმოება გავზარდოთ 52-54 მილიონ ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 53-55 მილიონ ტონამდე, მზესუმზირასი — 3,3 მილიონ ტონამდე, ბოსტნეულისა — 8,6 მილიონ ტონამდე, ხილისა და კენკრისა — 4,5 მილიონ ტონამდე, ყურძნისა — 1,3 მილიონ ტონამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 4,9-5 მილიონ ტონამდე, რძისა — 24,5-25 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 16-17 მილიარდ ცალამდე. შეექმნათ სარწყავ მიწებზე სიმინდის მარცვლის გარანტირებული წარმოების ზონები. ხუთწლეულში საექსპლოატაციოდ გადავცეთ 500 ათასი ჰექტარი სარწყავი და 640 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში 22-25 პროცენტით გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება. უზრუნველვყოთ ხელსაწყოთმშენებლობის, რადიოტექნიკური, ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობის, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის უპირატესი განვითარება.

ავამოქმედოთ მინსკის ატომური თბოელექტროცენტრალის პირველი ენერგობლოკი, ნავთობპროდუქტებისა და ქიმიური ნედლეულის წარმოების სიმძლავრეები „ნოვოპოლოცკნავთობორგსინთეზის“ გაერთიანებაში და მოზირის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში, აგრეთვე ლითონის კორდის საწარმოო სიმძლავრეები ბელორუსის ქ. ჟლობინის მეტალურგიულ ქარხანაში. განვაგრძოთ ბეთონის მეტალურგიულ ქარხანაში. განვაგრძოთ ბეთონის ქ. ი. ლენინის სახელობის სატრაქტორო ქარხნის“ საწარმოთა რეკონსტრუქცია და გაფართოება.

გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 12-14 პროცენტით. 1990 წელს მარცვლეულის წარმოება გავადიდოთ 8-8,2 მილიონ ტონამდე, კარტოფილისა სულ ცოტა 13 მილიონ ტონამდე, საკვებისა — 27-28 მილიონ ტონა საკვებ ერთეულამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 1,2-1,3 მილიონ ტონამდე, რძისა — 7,1-7,3 მილიონ ტონამდე და კვერცხისა — 3,4-3,5 მილიარდ ცალამდე.

დავაშროთ ხუთწლეულში 480 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწები, მათ შორის 390 ათასი ჰექტარი დახურული დრენაჟით. დავამთავროთ პოლესიეს დაბლობზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წყალმოვარდნისაგან დაცვის უპირველესი ობიექტების მშენებლობა.

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 24-27 პროცენტით. უფრო სწრაფი ტემპით განვავითაროთ ქიმიური, ელექტროტექნიკური, მსუბუქი მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება. გავადიდოთ ელექტროენერგიის გამომუშავება 25-27 პროცენტით, გოგირდმჟავას წარმოება — 34-36 პროცენტით. ავამოქმედოთ ანგრენის ქვანახშირის ჩრილის, ნოვოანგრენისა და ტალიმარჯანის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურებისა და უზბეკეთის მეტალურგიული ქარხნის სიმძლავრეები. დავიწყოთ ქალაქ ჯიზაყში სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის მშენებლობა.

გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 14-16 პროცენტით. 1990 წელს გავადიდოთ საბოჭკოე ბამბის წარმოება 1,8-1,93 მილიონ ტონამდე (ხამი ბამბისა — 5,8-6,0 მილიონ ტონამდე, მათ შორის ნაზბოჭკოიანი ჯიშებისა — სულ ცოტა 550 ათას ტონამდე), მარცვლეულისა — 3,2-3,5 მილიონ ტონამდე, საკვებისა — 20 მილიონ ტონა საკვებ ერთეულამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 540-560 ათას ტონამდე, რძისა — 3,3-3,5 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 2,7-3 მილიარდ ცალამდე. გავითვალისწინოთ ხილის, ყურძნის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის წარმოების დაჩქარებული განვითარება.

უზრუნველვყოთ მოქმედი სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია და გამოყენების გაუმჯობესება, ხუთწლეულში საექსპლოატაციოდ გადავცეთ 410 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, გავაწყლოვანოთ 1,1 მილიონი ჰექტარი სამოვრები, გარდავქმნათ დაახლოებით 4,8 მილიონი ჰექტარი სამოვრების გასარწყავების სისტემები. დავამთავროთ ყარშისა და ჯიზაყის ველების კომპლექსური ათვისება.

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 23-26 პროცენტით. გავითვალისწინოთ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარება.

განვაგრძოთ პავლოდარ-ეკიბასტუზის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვნად გავადიდოთ ქვანახშირის მოპოვება ეკიბასტუზის აუზში, დავიწყოთ მაიკიუბენის ქვანახშირის საბადოს ათვისება. ავამოქმედოთ ეკიბასტუზის მე-2 სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრეები, გავშალოთ ეკიბასტუზის მე-3 სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისა და სამხრეთ ყაზახეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა, დავამთავროთ შულბის ჰიდროელექტროსადგურის აგება.

დავაჩქაროთ თენგიზის ნავთობისა და ყარაჩაგანის გაზკონდენსატის საბადოების ათვისება. გავადიდოთ მადნის მოპოვებისა და გადამუშავების სიმძლავრეები ყაირემის სამთო-მამდიდრებელ და ჯეზყაზღანის სამთო-მეტალურგიულ კომბინატებში, ავითვისოთ შალკიის საბადო. გავშალოთ ბაყირჩიკის სამთო-მეტალურგიული, ყაირაკტის ვოლფრამის, კოკტენეყოლის მოლიბდენისა და ბიშჩეყოლის სპილენძის სამთო-მამდიდრებელი კომბინატების მშენებლობა.

გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 13-15 პროცენტით. 1990 წელს მარცვლეულის წარმოება გავადიდოთ 30-31 მილიონ ტონამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 1,4-1,5 მილიონ ტონამდე, რძისა — 5,4-5,5 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 4,2-4,3 მილიარდ ცალამდე, მატყლისა — სულ ცოტა 120 ათას ტონამდე, საკვებისა — 55-58 მილიონ ტონა საკვებ ერთეულამდე. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ მაღალხარისხოვანი თავთუნისა და ღონეიერი ხორცის, აგრეთვე ფეტვისა და წიწიბურას სასაქონლო წარმოება. განვაგრძოთ სახორცე მეცხვარეობის, წმინდა საწმისისა და ნახევრად წმინდა საწმისის მეცხვარეობის განვითარება. განვახორციელოთ სარწყავი მიწების ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მოქმედი სარწყავი სისტემების ტექნიკური სრულყოფის სამუშაოები 670 ათას ჰექტარ ფართობზე. საექსპლოატაციოდ გადავცეთ ხუთწლეულში 400 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები.

საქართველოს სს რესპუბლიკაში გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 22-25 პროცენტით. უზრუნველვყოთ ელექტრონტექნიკური და ელექტრონული მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის უპირატესი ზრდა.

ავამოქმედოთ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები, დავიწყოთ საქართველოს ატომური ელექტროსადგურის, არსებულ-დარტყმიანი მოწყობილობის ქარხნისა და დეტალსაგლინავი ქარხნის მშენებლობა ქ. მარნეულში, აგრეთვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის რეკონსტრუქცია. ავაშენოთ სამთო მიწათმოქმედების ტრაქტორებისა და მანქანების ქარხანა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მეორე რიგი. საექსპლოატაციოდ გადავცეთ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზი. დავიწყოთ კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა.

გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 14-16 პროცენტით. 1990 წელს გავზარდოთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება 650 ათას ტონამდე, ყურძნისა — სულ ცოტა 1 მილიონ ტონამდე, ხილის, კენკრისა და ციტრუსებისა — 1,1-1,4 მილიონ ტონამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) 230 ათას ტონამდე, რძისა — 850-900 ათას ტონამდე, კვერცხისა — 1,2 მილიარდ ცალამდე. ხუთწლეულში საექსპლოატაციოდ გადავცეთ 60 ათასი ჰექტარი სარწყავი და დავაშროთ 35 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწები. განვაგრძოთ კოლხეთის დაბლობის მიწების მელიორაციისა და ათვისების სამუშაოები, გარდავქმნათ არსებული სარწყავი სისტემები. უზრუნველვყოთ საკურორტო და ტურისტული მეურნეობის შემდგომი განვითარება.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 22-25 პროცენტით. გავითვალისწინოთ ელექტრონული და რადიოტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის უპირატესი განვითარება, ელექტროენერგეტიკის, ნავთობქიმიური და კვების მრეწველობის შემდგომი ზრდა. გავაფართოოთ კასპიის ზღვაში, რესპუბლიკის დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში ნავთობის დაზვერვა და საექსპლოატაციო ბურღვა. 1990 წელს მოვიპოვოთ 14-15 მილიონ ტონა ნავთობი.

დავამთავროთ აზერბაიჯანის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის აგება, გავშალოთ ატომური ელექტროსადგურისა და ნოვობაკინსის თბოელექტროცენტრალის, აგრეთვე ქ. კიროვაბადში სატვირთო ავტომობილების ქარხნის მშენებლობა. ავამოქმედოთ ეთილენისა და პროპილენის საწარმოო და გადასამუშავებელი დანადგარები.

გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 14-16 პროცენტით. 1990 წელს მარცვლეულის მოლიავალი გავადიდოთ 1,6 მილიონ ტონამდე, საბოჭკოე ბამბისა 238 ათას ტონამდე, (ხამი ბამბისა — 750 ათას ტონამდე), ყურძნისა — 2,5 მილიონ ტონამდე, ბოსტნეულისა და ბაღჩეულისა—1,2 მილიონ ტონამდე, საკვებისა—7,2-7,4 მილიონ საკვებ ერთეულამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 220-225 ათას ტონამდე, რძისა — 1,2-1,3 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 1,3 მილიარდ ცალამდე. ხუთწლეულში განვახორციელოთ 600 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწების გაუმჯობესების სამუშაოები, საექსპლოატაციოდ გადავცეთ 75 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები.

გავშალოთ კასპიის ზღვის სანაპიროზე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკურორტო ზონის შექმნის სამუშაოები.

ლიტვის სს რესპუბლიკაში გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 13-16 პროცენტით. უპირატესი ტემპით განვავითაროთ მათემატიკური ტექნიკის, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოება. გავაფართოოთ ქიმიური პროდუქციის, ხორცისა და რძის კონსერვების, ავეჯის, სელის ქსოვილებისა და ტყავის ფეხსაცმლის გამოშვება. საექსპლოატაციოდ გადავცეთ კაუნიადორისის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგურის სიმძლავრეები, კედანიის ქიმიური ქარხნის გოგირდმჟავას საწარმოო კომპლექსი, მაჟეიკიაის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ნავთობის ღრმა გადამუშავების კომპლექსი, აგრეთვე სსრ კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სარკინიგზო საბორნე გადასასვლელი.

გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 14-16 პროცენტით. 1990 წელს მარცვლეულის წარმოება გავზარდოთ 4 მილიონ ტონამდე, კარტოფილისა — 2,5 მილიონ ტონამდე, საკვებისა — სულ ცოტა 11 მილიონ ტონა საკვებ ერთეულამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 600-620 ათას ტონამდე, რძისა — 3,2-3,3 მილიონ ტონამდე, შეექმნათ ჯიშთსანაშენე მეცხოველეობის ბაზა სხვა რესპუბლიკებში პირუტყვის მიწოდებისათვის. საექსპლოატაციოდ გადავცეთ ხუთწლეულში 450 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები.

მოლდავეთის სს რესპუბლიკაში გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 22-25 პროცენტით. განვაგრძოთ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება, გავადიდოთ მისი ეფექტიანობა. დავამთავროთ „ხილ-სოფლმანქანის“ და „მოლდავეთსოფლმანქანის“ ქარხნების მშენებლობა, ბენდერის აბრეშუმის კომბინატის რეკონსტრუქცია, ავაშენოთ ქალაქ სოროკში ჭაბურღილების გეოფიზიკური აპარატურის, ქალაქ ედინეცში სითბომზომებისა და წყალმიცხველების ქარხნები. გავაფართოოთ ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, კონსერვების გამოშვება.

გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 15-17 პროცენტით. 1990 წელს ბოსტნეულის მთლიანი მოსავალი გავადიდოთ 1,5 მილიონ ტონამდე, ყურძნისა — 1,8 მილიონ ტონამდე, ხილისა და კენკრისა — 1,7 მილიონ ტონამდე, რძის წარმოება 1,4-1,5 მილიონ ტონამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 350-360 ათას ტონამდე, სიმინდის ჰიბრიდული თესლის რეალიზაცია — 70 ათას ტონამდე, მზესუმზირასი — 10 ათას ტონამდე, ხუთწლეულში საექსპლოატაციოდ გადავცეთ 150 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები.

ლატვიის სს რესპუბლიკაში გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 13-16 პროცენტით, ამასთან უპირატესად განვავითაროთ ელექტრონული, ელექტროტექნიკური, ქიმიური მრეწველობა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობა. განვავითაროთ სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოება, გავაფართოოთ თევზეულის ასორტიმენტი. განვაგრძოთ მსუბუქი მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია. ავამოქმედოთ დაუგავპილსის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ენერგობლოკები, ქ. რიგის სამრეწველო რობოტების ქარხნის პირველი რიგი, გავშალოთ ქარხანა „სარკანაის მეტალურგიის“ რეკონსტრუქცია. დავაჩქაროთ რესპუბლიკის მეურნეობის გაზიფიკაცია.

გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 12-14 პროცენტით. 1990 წელს მარცვლეულის წარმოება გავადიდოთ 2,3 მილიონ ტონამდე, კარტოფილისა — 1,8 მილიონ ტონამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 360-370 ათას ტონამდე, რძისა 2-2,2 მილიონ ტონამდე. ხუთწლეულში დავაშროთ სულ ცოტა 260 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი მიწები.

განვაგრძოთ საზღვაო ტრანსპორტისა და თევზსაჭერი ფლოტის განვითარება, განვამტკიცოთ სანავსადგურო მეურნეობა. დავაჩქაროთ კურორტ „იურმალის“ ინფრასტრუქტურის სანატორიულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისა და ობიექტების მშენებლობა.

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 21-24 პროცენტით, ამასთან დაჩქარებულად განვავითაროთ ელექტროენერგეტიკა, ფერადი მეტალურგია, ელექტრონული და მსუბუქი მრეწველობა. ავამოქმედოთ ტაშ-კუმირის და შამალდი-საის ჰიდროელექტროსადგურები, ფრუნზეს მე-2 თბოელექტროცენტრალისა და ტაშ-კუმირის ნახევარგამტარი მასალების ქარხნის სიმძლავრეები. გავშალოთ კამბარატის ჰიდროელექტროსადგურისა და სარი-ჯაზის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. დავამთავროთ ყირგიზეთის ოქროს მადნეულის კომბინატის აგება.

გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 13-15 პროცენტით. განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა სასაძოვრე სავარგულების მელიორაციის გზით. 1990 წელს გავზარდოთ ხორცის წარმოება (ნაკლავის წონა)—220-230 ათას ტონამდე, რძისა—850-860 ათას ტონამდე, კვერცხისა — 640 მილიონ ცალამდე, მატყლისა — 40 ათას ტონამდე, საერთო-საკავშირო ფონდში შაქრის ჭარხლის თესლის მიწოდება 15 ათას ტონამდე, იონჯის თესლისა 6,5-7 ათას ტონამდე. ხუთწლეულში საექსპლოატაციოდ გადავცეთ 85 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები. დავიწყოთ მდინარე სარი-ჯაზის წყლისა და ენერგეტიკული რესურსების კომპლექსური გამოყენების სამუშაოები.

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 23-26 პროცენტით, ამასთან უპირატესად განვავითაროთ ელექტროენერგეტიკა, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა. უზრუნველვყოთ სამხრეთ ტაჯიკეთის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის შემდგომი განვითარება. ავამოქმედოთ როგუნის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეები და დავიწყოთ სანგტუდის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, განვაგრძოთ იავანის ელექტროქიმიური ქარხნის აგება და დავამთავროთ ტაჯიკეთის ალუმინის ქარხნის მშენებლობა. გავშალოთ ტაჯიკეთის ოქროს მადნეულის კომბინატისა და ქალაქ კულიაბის აკუმულატორების ქარხნის მშენებლობა. ავაშენოთ სართაგ-საფეიქრო ფაბრიკები ქალაქებში კანიბადამში, კულიაბსა და ფაიზაბადის რაიონში.

დავიწყოთ პამირის ჰიდროელექტროსადგურისა და კურგან-ტიუბე-კულიაბის რკინიგზის მშენებლობა.

გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 12-14 პროცენტით. 1990 წელს გავზარდოთ საბოჭკოე ბამბის წარმოება 290 ათას ტონამდე (ხამი ბამბისა 910 ათას ტონამდე, მათ შორის ნაზბოჭკოიანი ჯიშებისა — 320 ათას ტონამდე), ხორცისა (ნაკლავის წონა) — 140-143 ათას ტონამდე, რძისა — 630-640 ათას ტონამდე, კვერცხისა — 710-720 მილიონ ცალამდე, გავაფართოოთ ბაღეებისა და ვენახების გაშენება, დავამთავროთ ძირითადად მემბოსტნეობა-მერძეველობის საგარეუბნო ზონების ჩამოყალიბება. მთისა და მთისწინეთის რაიონებში შეექმნათ სასურსათო კარტოფილის წარმოების მყარი ბაზა. მოვარწყათ ხუთწლეულში 55 ათასი ჰექტარი, განვაგრძოთ მიწების ათვისება დანგარის ველზე და ბეშკენტის ხეობაში.

სომხეთის სს რესპუბლიკაში გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 24-26 პროცენტით. მოვაწყოთ მანქანათმშენებლობის, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის, ფერადი მეტალურგიის, საშენ მასალათა მრეწველობის მთელ რიგ მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია, ტექნიკური განახლება და გაფართოება.

გავშალოთ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის მეორე რიგის, ვარდენის-ჯერმუკის რკინიგზის მშენებლობა, ავაგოთ საპროგრამებელი საკომპლექტო აპარატების, ავტომატური მანიპულატორების ჰიდრომოწყობილობის, სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობის ქარხნები, აგრეთვე ტრიკოტაჟის ქსოვილის ფაბრიკა ქ. კაფანში. გავაფართოოთ ტრიკოტაჟისა და ტყავის ფეხსაცმლის საწარმოო სიმძლავრები.

გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 12-14 პროცენტით. 1990 წელს მარცვლეულის წარმოება გავადიდოთ 330 ათას ტონამდე, ბოსტნეულისა — 500 ათას ტონამდე, ყურძნისა — 350 ათას ტონამდე, ხილისა და კენკრისა — 240 ათას ტონამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 130 ათას ტონამდე, რძისა — 625 ათას ტონამდე, კვერცხისა — 680 მილიონ ცალამდე. გარდავქმნათ სარწყავი სისტემები. ხუთწლეულში საექსპლოატაციოდ გადავცეთ 35 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები.

თურქმენეთის სს რესპუბლიკაში გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 20-23 პროცენტით. მინერალური სასუქების წარმოება გავზარდოთ 2,6-ჯერ, გაზის მოპოვება — 86 მილიარდ კუბურ მეტრამდე. გაძლიერთოთ ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები. დაჩქარებულად განვავითაროთ ელექტროენერგეტიკა, მსუბუქი და კვების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა. დავამთავროთ მარის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა, დავაჩქაროთ ჩარჯოუს ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ამოქმედება, გავშალოთ ქ. ტაშაუზის გრაფიტირებული ელექტროდების ქარხნის პირველი რიგისა და თურქმენეთის სალშენადნობი ნაწარმის ქარხნის მშენებლობა, შევუდგეთ შუა აზიის კალიუმიანი სასუქების ქარხნის მშენებლობას. განვაგრძოთ აღმოსავლეთ თურქმენეთის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ჩამოყალიბების საკვლევი და საპროექტო სამუშაოები.

გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 12-14 პროცენტით. 1990 წელს გავზარდოთ საბოჭკოე ბამბის წარმოება 398 ათას ტონამდე (ხამი ბამბისა — 1.300 ათას ტონამდე, მათ შორის ნაზბოჭკოიანი ჯიშებისა — 370 ათას ტონამდე), ბოსტნეულისა და ბაღჩეულისა — 900 ათას ტონამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 120 ათას ტონამდე, რძისა—380 ათას ტონამდე, კვერცხისა — 390 მილიონ ცალამდე, მატყლისა — 14-15 ათას ტონამდე

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ესტონეთის სს რესპუბლიკაში გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 13-16 პროცენტით, ამასთან უპირატესი ტემპით გავზარდოთ ფიქალგადასამუშავებელი და ელექტრონული მრეწველობა და ხელსაწყოსმშენებლობა. გავაფართოოთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის გამოშვება. დავიწყოთ ფიქალის შახტის „კურემიაის" მშენებლობა. დავამთავროთ ნოვოტალინის საზღვაო ნავსადგურის აგება, გავიყვანოთ ვირეში-ტალინის გაზსადენი.

გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 12-14 პროცენტით. 1990 წელს საკვების წარმოება გავზარდოთ 4,4 მილიონ ტონა საკვებ ერთეულამდე, ხორცისა (ნაკლავის წონა) — 245-250 ათას ტონამდე, რძისა — 1,4 მილიონ ტონამდე. განვავითაროთ საბეკონე მეღორეობა. ხუთწლეულში დავაშროთ 85 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

XIII. საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარება

ყოველმხრივ სრულყოფა და გავამდიდროთ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან სამეურნეო ურთიერთმომადგენელი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული რეალიზაციის საფუძველზე. უზრუნველვყოთ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენება უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტაში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების და მსოფლიოში მისი პოზიციების განმტკიცებაში.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში და ორმხრივ საფუძველზე მომძმე ქვეყნებთან შეავითანხმოთ ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა იმ მიზნით, რომ ერთობლივად ეფექტიანად გადაჭრათ დიდი პრობლემები მეცნიერების, ტექნიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კაპიტალური მშენებლობის სფერონი, აგრეთვე გამოვეძებნოთ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების, ურთიერთვაჭრობისა და სხვა სახეობათა თანამშრომლობის განვითარების ახალი ფორმები და შესაძლებლობანი. უფრო სრულად განვახორციელოთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების კოორდინაცია. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სხვა ქვეყნებთან ერთად კვლავაც გავუწიოთ ინტერნაციონალური დახმარება ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას, კუბის რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დაჩქარებისა და ეფექტიანობის ამაღლებაში, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მათი მონაწილეობის გაფართოებაში.

კოლექტიურად შემუშავებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით უფრო ფართოდ განვავითაროთ კოოპერაცია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან მოწინავე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების შექმნასა და გამოყენებაში. უფრო აქტიურად ვიმუშაოთ ამ მუშაობაში გაერთიანებები და საწარმოები, მათ შორის მომძმე ქვეყნების საწარმოებთან პირდაპირი საწარმოო კავშირურთიერთობის განვითარების, აგრეთვე ერთობლივი საწარმოების შექმნის გზით. ყოველმხრივ ვამაღლოთ ერთმანეთისათვის მისაწოდებელი ნაწარმის ტექნიკურ-ეკონომიკური დონე და ხარისხი. გავაფართოოთ სტანდარტიზაცია და უნიფიკაცია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

უზრუნველვყოთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ერთად მთელი რიგი დიდი მასშტაბის პროექტების განხორციელება: იამბურგ-სსრ კავშირის დასავლეთ საზღვრის მაგისტრალური გაზსადენის, ატომური ელექტროსადგურებისა და თბომომარაგების ატომური სადგურების, კრივოი როგის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა, კასპიისპირეთის დაბლობზე ნავთობგაზის საბადოების ათვისება, თანამეგობრობის ქვეყნების გაერთიანებული ენერგოსისტემის შემდგომი გაფართოება. განვახორციელოთ ერთობლივად შემუშავებული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა ხელახალი აღჭურვის, სახალხო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის ურთიერთმიწოდების გაფართოების მიზნით. განვახორციელოთ მომძმე ქვეყნებთან შეთანხმებული სათბობისა და ნედლეულის რაციონალური გამოყენებისა და ყოველმხრივი დაზოგვის, წარმოების ენერგო-და მასალატევადობის შემცირების, ენერგიის ახალი წყაროების ათვისების ღონისძიებანი.

გავაღრმოოთ თანამშრომლობა განვითარებად ქვეყნებთან. დავეხმაროთ მათ სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში, ტრანსპორტის განვითარებაში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და მიწების ირიგაციაში, მინერალური ნედლეულისა და სათბობის მარაგის გეოლოგიურ დაზვერვაში, ეროვნული კადრების მომზადებასა და სხვა დარგებში, ამასთან ხელი შევუწყოთ ამ ქვეყნებში ბუნებრივი სიმდიდრეების წარმოებაში მოქცევასა და სასაქონლო რესურსების გადიდებას, მათი ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, დამოუკიდებლობისა და პროგრესის გზით წინსვლას. განვაგრძოთ ამ ქვეყნებთან სავაჭრო, ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის შეთანხმებული გრძელვადიანი პროგრამების თანამიმდევრული რეალიზაცია.

განვავითაროთ ურთიერთხელსაყრელ და თანასწორუფლებიან საფუძველზე სტაბილური სავაჭრო, ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობა დაინტერესებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, სრულყოთ მათთან თანამშრომლობის ფორმები.

გავაუმჯობესოთ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობის სტრუქტურა, უწინარეს ყოვლისა, მანქანების, მოწყობილობისა და სხვა ზედმიწევნით გადამუშავებული პროდუქციის გაყიდვის გადიდების გზით.

XIV. სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა

კვლავაც სრულვყოთ სახალხო მეურნეობის მართვა. კომპლექსურად განვავითაროთ მართვისა და მეურნეობის სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაგეგმვის, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ორგანული ერთიანობა და ეფექტიანი ურთიერთმოქმედება. ამ სისტემის მიზნად დავუსახოთ წარმოების განვითარების ინტენსიური ფაქტორების გამოყენებაზე მტკიცე გადასვლა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება.

მეთორმეტე ხუთწლედში ეკონომიკის ყველა დარგი გადავიყვანოთ მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე.

თანამიმდევრულად სრულვყოთ და განვავითაროთ სახალხო მეურნეობის მართვაში დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელშიც ერთიანი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა შეხამებული იქნება ინიციატივასთან, შემოქმედებითს აქტიურობასა და მაღალ პასუხისმგებლობასთან მეურნეობრიობის ყველა დონეზე. უფრო ფართოდ ავაბათ მშრომელები მართვაში.

განვამტკიცოთ ცენტრალიზებული საწყისი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში. სამეურნეო მართვის ზედა ეშელონების ძალისხმევა მოვახმაროთ უწინარეს ყოვლისა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრას, სახალხო-სამეურნეო პროპორციების სრულყოფას, საკვანძო სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების რეალიზაციას, გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობისათვის უკეთესი პირობების შექმნას. ავამაღლოთ მართვის დარგობრივი ორგანოების მუშაობის დონე.

გავაფართოოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებები, გავაძლიეროთ მათი პასუხისმგებლობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხთა დროული და სწორი გადაწყვეტისათვის.

უზრუნველვყოთ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა თანამიმდევრული რეალიზაცია, გავაძლიეროთ მათი როლი გეგმების შემუშავებაში, საწარმოო-სამეურნეო და სოციალური ხასიათის ამოცანათა გადაწყვეტაში.

ყველგან დავამკვიდროთ მეურნეობრიობის სოციალისტური სტილი, რომელსაც საფუძვლად უდევს ისეთი უმნიშვნელოვანესი ლენინური მოთხოვნები, როგორიცაა პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ერთიანობა, მაღალი ორგანიზებულობა, გეგმიერიანობა, კომპეტენტურობა, დისციპლინა, თითოეულის პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, გადაჭრით ვიბრძოლოთ უწყებრობისა და კუთხურობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. არ დავუშვათ ადმინისტრირება, წვრილმანი მეურვეობა და გაერთიანებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის გაუმართლებელი რეგლამენტაცია.

გავაუმჯობესოთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან დაგეგმვისა და მეურნეობრიობის მოწინავე გამოცდილების გაზიარება.

გავზარდოთ ძირითადი საწარმო რგოლის — სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების როლი, ამასთან უზრუნველვყოთ მათი უფლებებისა და მოვალეობების ორგანული ერთიანობა. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ გაერთიანებებისა და საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობა, მათი შესაძლებლობანი წარმოების ტექნიკურ განახლებასა და სრულყოფაში, დაგეგმვაში.

გავაძლიეროთ გაერთიანებებისა და საწარმოების ეკონომიკური პასუხისმგებლობა მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის, პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულებისათვის, ყველა სახეობის რესურსების უკეთ გამოყენებისათვის, მივაღწიოთ, რომ სამეურნეო მექანიზმი შრომითს კოლექტივებს მაქსიმალურად უსაზავდეს მიზნად წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებას და ეფექტიანობის გადიდებას, ახალი ტექნიკის დანერგვას, ტექნოლოგიის განუწყვეტელ სრულყოფას, მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

უზრუნველვყოთ, რომ წარმოების განვითარებისათვის, შრომის აზაზაურებისა და სოციალურ საკითხთა გადაწყვეტისათვის გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ მიღებული სახსრების ოდენობა მკაცრად იყოს დამოკიდებული მათი სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებზე. შრომითს კოლექტივებს მივანიჭოთ მეტი დამოუკიდებლობა წარმოების განვითარებისა და სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტისათვის გაერთიანებებისა და საწარმოების განკარგულებაში დატოვებული სახსრების გამოყენებაში. გავითვალისწინოთ, რომ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უწინარეს ყოვლისა ხმარდებოდეს ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება გაერთიანებებისა და საწარმოების ფონდებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე.

სრულვყოთ სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და ორგანიზაცია, მიზნად დავუსახოთ მას მუშაობის მაღალი შედეგების მიღწევა.

ავამაღლოთ დაგეგმვის მეცნიერული დონე. გავაძლიეროთ მისი ზემოქმედება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, საზოგადოებრივი წარმოების პროგრესული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, მის ინტენსიფიკაციაზე, შეწონასწორებულ და პროპორციულ განვითარებაზე, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებაზე. განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი, რათა გეგმის დავალებანი ემყარებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, უზრუნველყოფდეს ყოველი დარგის განვითარებას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფართო გამოყენების ბაზაზე.

განვამტკიცოთ გრძელვადიანი პროგნოზირების, პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის ურთიერთკავშირი. სახელმწიფო გეგმების შემუშავებისას უფრო სრულად გავითვალისწინოთ სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამა და სსრ კავშირის საწარმოო ძალების განლაგების გენერალური სქემა. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ საგეგმო ანგარიშების ავტომატიზებული სისტემა.

გავზარდოთ ხუთწლიანი გეგმების როლი ყველა დონეზე სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციაში, განვამტკიცოთ საგეგმო დისციპლინა. მართვის ყველა რგოლში შევქმნათ საჭირო საწარმოო და საფინანსო რეზერვები.

უზრუნველვყოთ დაგეგმვაში პროგრესული ეკონომიკური ნორმატივების სისტემის დანერგვა. ფართოდ გამოვიყენოთ მართვისა და დაგეგმვის ყველა დონეზე ნორმატიული მეთოდები.

სრულვყოთ საგეგმო მაჩვენებლების სისტემა, უფრო მეტად დავუსახოთ მათ მიზნად საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევა, გავზარდოთ შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის, პროდუქციის ხარისხისა და განახლების მასშტაბის ამსახველი მაჩვენებლების მნიშვნელობა.

უზრუნველვყოთ დარგობრივი, ტერიტორიული და საპროგრამო დაგეგმვის ერთიანობა. ავამაღლოთ ურთიერთდაკავშირებული დარგების დაგეგმვის დონე. გავაუმჯობესოთ ტერიტორიების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვა.

გავზარდოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, როგორც ქვეყნის ცენტრალური სამეცნიერო-ეკონომიკური ორგანოს, როლი და პასუხისმგებლობა. სრულვყოთ დიდი ეკონომიკური რაიონებისა და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების მეურნეობის დაგეგმვა.

განვავითაროთ და სრულვყოთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საერთო-სახელმწიფო სისტემა, გავაძლიეროთ მომარაგების ორგანოების პასუხისმგებლობა მიწოდების დისციპლინის დაცვისათვის, ნედლეულის, მასალების, წარმოების ნარჩენების ეკონომიური და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის. გავაფართოოთ პროდუქციის ტექნიკურ დონეზა და ხარისხზე მომხმარებლის ზემოქმედების შესაძლებლობანი, განვავითაროთ გრძელვადიანი სამეურნეო კავშირურთიერთობა და საბითუმო ვაჭრობა.

გავზარდოთ ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების ქმედითობა. გავაძლიეროთ მართვის ეკონომიკური მეთოდების როლი, განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში წარმოების ყველა რგოლში. სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობა სულ უფრო მეტად ავაგოთ ხუთწლიანი გეგმის დავალებებისა და დადგენილი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე, რომლებიც გაერთიანებებისა და საწარმოების განკარგულებაში დატოვებული სახსრების ოდენობას უკავშირებს მათი მუშაობის შედეგებს. უზრუნველვყოთ ამ ნორმატივების სტაბილურობა ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციისას. გავაფართოოთ გაერთიანებებისა და საწარმოების შესაძლებლობანი შრომითი კოლექტივის წევრთა მატერიალური წახალისებისათვის საკუთარი სახსრების გამოყენებაში.

არსებითად გავაძლიეროთ ეკონომიკური ბერკეტების როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვაში, ძირითადი ფონდების განახლებაში, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარებაში, თვითღირებულების შემცირებასა და წარმოების რენტაბელობის გადიდებაში. გადავსინჯოთ საამორტიზაციო ანარიცხების ნორმები და გამოყენების წესი.

სრულვყოთ ფასების სისტემა. უფრო სრულად ავსახოთ მათში წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლები, შრომის საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯების დონე. განვავითაროთ საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობა, განვამტკიცოთ საგადამხდელო დისციპლინა სახალხო მეურნეობაში.

გავზარდოთ აღრიცხვის, სტატისტიკისა და კონტროლის როლი რესურსების რაციონალური და ეკონომიური გამოყენების უზრუნველყოფაში, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათვის ბრძოლის გაძლიერებაში. გავაუმჯობესოთ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა.

სრულვყოთ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მის ყველა დონეზე და სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში. დავაზუსტოთ ან შევიმუშაოთ, სადაც ეს საჭიროა, სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგების მართვის ახალი გენერალური სქემები, ამასთან გავითვალისწინოთ მართვის უპირატესად ორრგოლიან სისტემაზე გადასვლა. გავაუმჯობესოთ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში მათი როლისა და ადგილის გათვალისწინებით.

შეგქმნათ ურთიერთდაკავშირებული დარგების ჯგუფების მართვის ორგანოები. სრულვყოთ დარგთშორისი მართვის ფორმები. მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვის, გაერთიანებებისა და საწარმოების უფლებების გაფართოების გათვალისწინებით დავაზუსტოთ სამინისტროებისა და უწყებების ფუნქციები და სტრუქტურა. მათი მეცადინეობა მოვახმაროთ დარგების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას, უმნიშვნელოვანესი პროპორციების ჩამოყალიბებას, ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას. გავზარდოთ სამინისტროების პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, თანამედროვე ტექნიკურ დონეზე დარგის კომპლექსური განვითარებისათვის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების საკითხთა ეფექტიანი გადაწყვეტისათვის, დარგის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. განვახორციელოთ სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

განვავითაროთ სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებანი, განვამტკიცოთ მათი სამეცნიერო-ტექნიკური ქვეგანაყოფები. საჭირო შემთხვევებში შევქმნათ დარგთშორისი გაერთიანებები, რომლებიც დააჩქარებენ სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას. უზრუნველვყოთ მსხვილი, საშუალო და მცირე სპეციალიზებული საწარმოების ოპტიმალური შეხამება.

გავზარდოთ მართვის აპარატის მუშაობის ეფექტიანობა, მართვის ორგანოებს შორის უფრო მკვეთრად გავმიჯნოთ უფლებები და მოვალეობანი, გავაუქმოთ ზედმეტი რგოლები, აღმოვფხვრათ დუბლირება და პარალელიზმი მუშაობაში, გავაუმჯობესოთ სამმართველო შრომის ორგანიზაცია და ტექნიკური აღჭურვილობა.

მივაღწიოთ წარმოებასა და მართვაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის ოპტიმალურ თანაფარდობას. არსებითად გავამარტივოთ და გავაიაფოთ მართვის აპარატი. უფრო ოპერატიულად გადაწყვიტოთ მიმდინარე საკითხები, მართვის ცენტრალური ორგანოები გავათავისუფლოთ წვრილმანი და მეორეხარისხოვანი საკითხების განხილვისაგან. გადაჭრით აღმოვფხვრათ ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი მუშაობაში, მკვეთრად შევამციროთ ინსტრუქციებისა და მითითებების რიცხვი.

გავზარდოთ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვისათვის. გავაფართოოთ ამ ორგანოთა უფლებები იმ დარგების დაგეგმვასა და მართვაში, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებასთან.

სრულვყოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საქმიანობა, გავზარდოთ მათი როლი საქვეუწყებო ტერიტორიაზე ეკონომიკის კომპლექსური განვითარების, შრომითი, ნედლეულის და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების, წარმოების კოოპერირების, მეურნეობის ეფექტიანობის ზრდის უზრუნველყოფაში. უფრო მეტად დავუკავშიროთ ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალი შესაბამის ტერიტორიაზე მდებარე გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

გავაუმჯობესოთ ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით სამეურნეო ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, განსაკუთრებით უმაღლესი და საშუალო რგოლის სამეურნეო ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კადრების მომზადების სისტემა. მოვამზადოთ კადრები, რომლებსაც თანამედროვე სამეცნიერო, ტექნიკურ და ეკონომიკურ ცოდნასთან ერთად ექნებათ ფართო თვალსაწიერი, ორგანიზატორული ნიჭი, უნარი წყვეტდნენ ამოცანებს უწინარეს ყოვლისა საერთო-სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით. გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების შერჩევა, განაწილება და გადამზადება, გავზარდოთ კადრებისადმი მომთხოვნელობა.

• • •

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. მასში განსაზღვრულია უმნიშვნელოვანესი მიზნები, რომელთა მიღწევა უზრუნველყოფს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის თვისებრივად ახალ დონეს, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის დასახული მუშაობის მასშტაბი გრანდიოზულია. ძირითადი მიმართულებების განხორციელება პარტიისაგან, მუშათა კლასისაგან, კოლმეურნე გლეხობისაგან, მშრომელი ინტელიგენციისაგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას და საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმე უნდა გახდეს.

ახლა მთავარი ის არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მივაღწიოთ გარდატეხას მუშაობაში, მოვახდინოთ შემობრუნება სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში—მივაღწიოთ ნაკლები დანახარჯებით უფრო მაღალ მიჯნებს, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველივე, რაც აქვს ქვეყანას — შექმნილი მძლავრი ეკონომიკური და საბეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, მთელი არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი. შრომითი კოლექტივებისადმი, ცენტრში და ადგილებზე, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისადმი, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციისადმი დღეგანდელი მოთხოვნების არსი ის არის, რომ უზრუნველვყოთ მაღალი შედეგების მიღწევა, მარჯვედ ვუძღვებოდეთ მეურნეობას. ყოველ გაერთიანებასა და საწარმოში, საამქროსა და საწარმო უბანზე უნდა განისაზღვროს ის რგოლები, სადაც მინიმალური დამატებითი ხარჯებით შეიძლება უმაღლესი შედეგის მიღწევა.

უწინარეს ყოვლისა სრულად უნდა ავამოქმედოთ მთავარი, არსებითად ამოუწურავი რეზერვი, რომელსაც შეიცავენ ადამიანის ფაქტორი, ადამიანები, — მაღალი ორგანიზებულობის, დისციპლინისა და წესრიგის უზრუნველყოფა.

დასახული გეგმების რეალიზაციისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კომუნისტებს, პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას, ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი მათ ინიციატივასა და შემოქმედებითს წამოწყებებს. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაშალონ ამ მიზნით პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, მიაღწიონ არსებული რეზერვების ეფექტიან გამოყენებას, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელებას, ყველგან დანერგონ მეურნეობრიობის ლენინური სტილი, უფრო აქტიურად გასწიონ აღმზრდელობითი მუშაობა, რათა ყოველი მშრომელი, ყოველი შრომითი კოლექტივი მუშაობდეს შემოქმედებითად და სრული უკუგებით. გულმოდგინედ უნდა ჩავუნერგოთ კადრებს ბერგლიანობა, გარდავქმნათ ადამიანების ეკონომიკური აზროვნება და ფსიქოლოგიური განწყობა ახლებურად მუშაობისათვის, გავზარდოთ პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებები სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში. პროფკავშირებმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, უფრო მტკიცედ იბრძოლონ საგეგმო დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მშრომელთა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მუშაკთა პროფესიული და ზოგად-კულტურული დონის ამაღლებისათვის, უფრო ფართოდ გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, ხელი შეუწყონ შრომითი კოლექტივების როლის გადიდებას საწარმოო და სოციალურ საკითხთა გადაწყვეტაში. ლენინურმა კომკავშირმა დასახული ამოცანების განხორციელებას უნდა მოახმაროს ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და მჩქეფარე ენერგია.

სახელმწიფო დისციპლინის ყოველგვარ დარღვევას, უყაირათობას, უშრომელი შემოსავლის მიღების ყოველგვარ მცდელობას საიმედო დაბრკოლება უნდა შეუქმნას სახალხო კონტროლმა.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები მშრომელების, ყველა საბჭოთა ადამიანის მოქმედების კონკრეტული პროგრამაა, ეს არის პარტიის დირექტივა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ჩვენი საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების ინტერესებისათვის ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების, მომწიფებული, დიდი სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის შესახებ.

დასახულ ამოცანათა შესრულებას ექნება არა მარტო საშინაო, არამედ აგრეთვე დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა, იგი ხელს შეუწყობს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის შემდგომ დამკვიდრებას, კიდევ უფრო გაზრდის სოციალიზმის იდეების მიმზიდველ ძალას, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნად მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მიღწეული იქნება მიზნები, რომლებსაც პარტია სახავს მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის. ამის შედეგად კიდევ უფრო სრულად გამოვლინდება სოციალიზმის შემოქმედებითი ძალები, უფრო მდიდარი და ძლევამოსილი გახდება ჩვენი საბჭოთა სამშობლო. ამის გარანტიაა საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომა, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა.

არნოლდ ჩიქობავა



ბაგრატიონელა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავა.

არნ. ჩიქობავა დაიბადა 1898 წელს. 1917 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და 1918 წელს შეეცადა ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში. 1922 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დაბოვეს საპროფესორად მოამზადებისათვის. ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან მას პირველს მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

არნ. ჩიქობავა გახლდათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, მრავალი სამეცნიერო ცენტრის შექმნის ინიციატორი.

პირველი მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არნ. ჩიქობავა თავდადებით ემსახურებოდა ჩვენში მეცნიერების განვითარებას. იგი მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთა ამ პლეადას ეკუთვნის, რომელთაც ამაყობს მთელი ჩვენი ქვეყანა.

არნ. ჩიქობავა ავტორია 400-მდე დაბეჭდილი მეცნიერული შრომისა, რომელთაგან 15 ცალკე წიგნად გამოიცა. ბევრი მათგანი გამოქვეყნებულია რუსულ და უცხო ენებზე.

მეტად ფართო იყო არნ. ჩიქობავას სამეცნიერო ინტერესთა წრე. იგი იკვლევდა თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების აქტუალურ და კარდინალურ პრობლემებს; ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ხასიათებს, ამ ენათა ნათესაურ ურთიერთობას; ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას და მეტყველების კულტურის საკითხებს; „ივერსიასტაროსნის“ ენას და ა. შ. არნ. ჩიქობავას მეცნიერული მიღწევები, შედეგი მისი მაღალი ნიჭიერების, დაუცხრომელი ენერგიის, უხარჯავი შრომანაზოგიერობისა და ღრმა განსწავლულობისა ენათმეცნიერების მოთხოვნაზე დარგებშიც.

განსაკუთრებულია არნ. ჩიქობავას დამსახურება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე — იგი მისი ფუძემდებელია და დიდსული გამგრძელებელი თავის დიდი მასწავლებლის ნაგებ კვალიანშვილის მიერ დაწყებული საქმისა. არნ. ჩიქობავას მეხუთეთია, რომ თბილისი იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საყოველთაო აღიარებული ცენტრი გახდა. ამატომ სავსებით კანონზომიერია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ენათმეცნიერი-კავკასიოლოგთა საკავშირო ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ დაარსება, რომლის უცვლელი მთავარი რედაქტორი თავად იყო.

ქართული ენის, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ადგილების უმნიშვნელოვანეს საკითხებს მიუძღვნა მეცნიერმა ფუძემდებლური მონოგრაფიები, რომელთაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

დიდი არნ. ჩიქობავას ღვაწლი ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლაში. მისი შრომები ფერეიდნულის, მთიულურისა და გარეჯაურის შესახებ ქართული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მან მონოგრაფიულად შეისწავლა ჭანური კილო, შეიტანა ამ კილოსა მისი ტექსტები.

არ არსებობს ქვეყანა თუ ახალი ქართველის სტრუქტურის არც ერთი ზარი, რომელთა გამო არნ. ჩიქობავას ახალი სიტყვა არ ეთქვას.

არნ. ჩიქობავამ დიდი ამაგი დაუდო ქართველი ხალხის ეროვნული სიუჟეტს — რეტროსპექტი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შექმნას, მის მიერ შემუშავებული პრინციპები. დიდი საფუძველად ამ მონუმენტური ლექსიკონის შედგენას. სწორედ ამ დიდი ეროვნული საქმის დაგვიანებისათვის მიენიჭა ქართველ ენათმეცნიერთა ჯგუფს არნ. ჩიქობავას მეთაურობით საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.



დიდი არნ. ჩიქობავას წვლილი, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საკვლევაძიებო მიმართულებათა განმსაზღვრელისა.

არნ. ჩიქობავას სამეცნიერო ძიების ერთი ძირითადი მხარე ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკა; აქ მან შექმნა საკვანძო ცნებალი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

არნ. ჩიქობავა ორგანიზატორი და მონაწილეა მრავალი საკავშირო, საერთაშორისო, რეგიონალური თუ რესპუბლიკური სამეცნიერო კონგრესისა, სესიისა, კონფერენციისა, დისკუსიისა.

დიდი ღვაწლი დასდო მკვლევარმა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეში. მან შეიმუშავა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის მეცნიერული პრინციპები.

არნ. ჩიქობავას პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული ერის სიყვარულისა და სხვა ხალხების პატივისცემის გრძნობა, რასაც მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

არნ. ჩიქობავა ბევრ დროსა და ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდას. იგი მაღალპრინციპული მეცნიერია და მოკალაქის, მამულიშვილის საუკეთესო თვისებებს უნერგავდა სტუდენტებსა და ასპირანტებს. დღეს მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნისა და უცხოთის სამეცნიერო დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში.

არნ. ჩიქობავა იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების კათედრათა გამგე, საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის სამეცნიერო საბჭოს, მრავალი სხვა სამეცნიერო უწყებადის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი შუდმივი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე.

არნ. ჩიქობავას მიღებული აქვს სამი ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, „საპატიო ნიშნის“ ორდენი, მრავალი სხვა ჯილდო. იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აბაზინეთ-ბალყარეთის ასსრ, ადიღეანის ასსრ და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ლომონოსოვის სახელობის პრემია, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია. არჩეული იყო ბელგიანის მუშამოდგმის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად.

ამბავი წელნი მოტი ხნის მანძილზე ილეწოდა არნ. ჩიქობავა სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. განუზომელია მისი დამსახურება ქართული ენის, ქართული კულტურის, მთელი ჩვენი ერის წინაშე, მადლიერი ხალხმოლი არასოდეს დავიწყებს თავისი რჩეული შვილის ძვირფას სახელს.

Ж. ДАДЕШКЕЛИАНИ, Г. АНДРОНИКАШВИЛИ, Б. АНЧАБАДЗЕ, Г. БАЗАЗИА, А. ГИЛАШВИЛИ, Д. ЕНУКИДЗЕ, А. ИНАУРИ, Д. КОЧЛАВА, Б. ЛИЦОМУСАЗ, Ф. РОСТОМАШВИЛИ, Ю. ХАЛВАШИ, Ш. ЧАЧАВА, Г. ЧИКОВАНИ, Ш. ЭЛИАВА, Ш. ЭЛИАВА, Ш. ЭЛИАВА